



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

დაბა ქედა



დადგენილება:დ-95.95223623

თარიღი:28/12/2022

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2022 წლის 28 დეკემბერი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო:სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 30/12/2021წ, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016334).

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

